ნიანგი

ოქტომბერი
1999
ISSN 0132-6015

136
1999

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ
„ნიანგის" წაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის

ცხრა ძმას ეყო ერთი თხილის გული
ცხრა გემში კი ერთ ძმას შეხვდა ფული.

პოლიტიკური მუზაიკა

ნაწილებად დაყოფილი ვერ იქნები კმაყოფილი

NEWS

კოდორის ხეობაში გაერს დამკვირვებლებმა, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისაგან გამოსასყიდის მიღების მიზნით, არაერთგზის ნასამართლევი და მკვლელობებში ეეჭვმიტანილი ყარაღები გიტაცეს

საგენტო "ბუესპრესი"

ძველებანა რომ ხედავს დაშლილს
გული მოსდის საკაკაშვილს.

კაცი როცა თავს იმართლებს
ნიშნავს - გაუჩინის სიმართლეს

NEWS

საქართველოს სანათლმეცნიერო ხელშეკრულება გაფორმა ინგლისის სანაოსნოს აღმირალ ნელსონთან, რის საფუძველზეც სამი „სნიკერსი"-ის სანაცვლოდ საქართველოს მხარე 5 ფრეგატსა და 2 კარაველას მიიღებს

საგენტო "ბუესპრესი"

მორბენალი სტრიქონი copyright niangi

ნიანგისტის გზელა

136
1999

მ[illegible]ემრავლდა პარტიები
რო[illegible]ც სოკო ტყეში,
�о[illegible] სეტყვა შემოდგომის,
роз[illegible] წვიმის თქეში.

თუ ა[illegible]ხარი, აირჩიე
პლა[illegible]ის ქვაი -
ამო[illegible] - უი!
ა[illegible]ევ? - ვაი!

[illegible]ებ ესეც მატრაბაზობს,
[illegible]ებ ესეც ტყუის?
[illegible]ავირჩევ? - ვაი!
ა[illegible]ევ და... უი!

დ[illegible]ხალი სიო დაქრის,
იცვ[illegible]ბიან დრონი,
ს[illegible]ენო ყუთის ნაცვლად
[illegible]ათ ლოტოტრონი.

პარტიების კვალობაზე
ვნომროთ ბურთი ასი,
ვატრიალოთ, თანაბარი
აქვს დღეს ყველას ფასი.

ეს ვიფიქრე... თუ არ მოგწონთ,
სხვამ იფიქროს სხვაი,
მოიფიქრებს? - უი!
არ იფიქრებს? - ვაი!

ლ' ერიო

„ნიანგის" საარჩევნო ალბომი

თუ არ გივარგა ქვერცხლები
გვერთან გრძელვადიანი ვერცხლები

ნეტავი ვინმე თუ არი
მანდატზე ეთქვას უარი

ჯობია მაინც აყვე დროს
თუნდაც ეს ყველამ გაყვედროს

ვინც კი სიმართლე თქვა
ყველას ესროლეს ქვა.

ვინც ფიცხელ ომში დინჯია
ნამდვილად გასასინჯია

კაცი როცა ტეხავს ალთქმას
აღარ იცის უკვე რა თქვას.

არც კი გვყოფა ცხრა თვალი
რომ დინახო მართალი.

როგორ იქნები ქეთილი
ვინც ტყავში გამოქცეული

მინორიტარი: კუბანელიშვილი

გვეკითხებიან - ვპასუხობთ

კითხვა:
- რა არის "სახელმწიფოებრივი აზროვნება"
პასუხი:
- როცა ერთად ყველა "მიმხრეა", ცალ-ცალკე კი "წინააღმდეგი".

კითხვა:
- რა მოტივით თხოულობენ პანტელიმონ გიორგაძე, ვახტანგ გოგუაძე და ძმანი მაონი სსრკ-ს ადდგენას?
პასუხი:
- მოტივი ცნობილია: "საოუზ ნერუშმი რესპუბლიკ სვობოდნის"...

კითხვა:
- რატომ აო გადის რუსის ჯარი საქართველოდან?
პასუხი:
- ვაპაბატებს ელოდებიან

საგზაო - პოლიკური ნიშნები

ფრთხილად! წინ არწყვენია

საარწყვნო ბარიერი

საარწყვნო სიგნალში გამშვებელი ადგილები მცირდება

ერიდეთ ზღვისპირა სეპარატორს

არწყვნის [illegible] აკრძალული

მობრუნება დაუშვებელია

ლაფის შესახებ პოლიტიკური ოპონენტებისთვის აკრძალულია

„სეკობს ნელა ვიდრე არასწორს"

მუმარცხენე პოლიტიკური ძალები

ცენტრისტული ძალები

მუმარჯვენე პოლიტიკური ძალები

ტრადიციონალისტური ძალები

ბლოკი „ალ[illegible]ია"

„ლეგალისტები"

„მრეწველია კაშარი"

გეორგაშვა ფერები მუქი - „ულა"

დაცვტრილი ძალები

დასასვენებელი ადგილი მწვანეთათვის

არწყვნის შემდეგ პოლიტიკური გზები იფოფა

უსარელი ამოშრწყვლელი

„ოპოზიციონერია"

„მოქალაქეთა კაშარი"

არ გაიტანთ მამა-შვილი გეორგაძეები!

ორი აგური არწყვნებში დამარცხებულთათვის

მოეფრთხილეთ რეჩისან ელექტორატს

ძალოვანი სტრუქტურები არწყვნებში არ დაიშვებიან

დაიცავით დისტანცია პარტიებს შორის

არ იცან ვის აძლევენ ხმას

ნე ჩაიცვენი ოპონენტს არათანაბარ პირობებში

აგარია კაშარი

უფლისი დეპუტატის პარლამენტში შესვლა აკრძალულია

პარტიების რეიტინტი არწყვნებიდან ათ დღეში

ვიდიანი შიშლლობა

უცაოლ შიშლლობა

ერიდეთ ქმლებს პოლიტიკაში

წინ ბაკი-ხეფსის, ნავთობსადგერია

ყოველი დეპუტატებისთვის ჩქარისწელი გზის დასასრული

ჩქარისწელი გზა იხსნება ახალადარჩეული დეპუტატებისთვის

ნე ერნთი უსარელი ამოშრწყვლს



ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიტყვოდ



ნახ. მ.აბაშიძის

— იცოდე არჩევნების დამთავრებამდ
არაფერი მთხოვ
ახლა მხოლოდ ხმის მიცემაზე ვფიქრო

განცხადებები

ვმკურნალობ:

ბუასილს დაჟინებული მზერით

იყიდება:

"კოლხურზე" ბევრად უკეთესი მალამო "გურჯი". დამზადებულია ლეიბორისტთა ცრემლებისა და კომუნისტების ნერწყვის ნაყენზე. რეკომენდებულია ნოქალაქევთა კავშირის და სახახვო პარტიების მიერ, ალიანსური და ბლოკური სინდრომების წინაალმდეგ.

გაცნობა:

ვარ 24 წლის, მიმზიდველი გარეგნობის ქალიშვილი (172-70). მიყვარს ოცნება, მუსიკა და ყვავილები. ნამდვილი ქართული ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 25-40 წლამდე წესიერ, ინტელიგენტ მამაკაცს, ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილს. ვინც გამომეხმაურება, შემხვდეს შაბათს, 3 საათზე, ოპერის წინ. ხელში მეჭირება ბოდლერის ლექსების კრებული. (დამატებითი ნიშნები: მარცხენა მკლავზე "ნაკოლკა" - ისრით დაკოდილი გული, მარჯვენაზე - კარტი, კამათელი და ჭიქა)

დაიკარგა:

- მინისტრის პორტფელი.
- პატარა ბიჭი, წითელპერანგა.
- ჭორიკანა ჟურნალისტის სინდისი.

მოვუვლი:

მაღალი თანამდებობის პირთა, ბიზნესმენთა და საერთოდ, შეძლებულთა ოჯახებში: მოხუცებს, ბავშვებს, ძაღლებს, კატებს და თაგვებს. ბინაში ჩაწერით, დღეში ექვსჯერადი კვებით, თვეში 500 ლარის ანაზღაურებით, კვირაში 4 გამოსასვლელი დღით.

დაიკარგა:

შავი ფერის, დიდი, ბრაზიანი ბულდოგი, სახელად "ტუზიკა", დღეში ჭამს სამ კილოგრამ ახალ ხორცს. მპოვნელს ვთხოვ არ მომიყვანოს.

რუსულ - ქართული ლექსიკონი

Необходимость — არ შემოუარო ხიდს!
Паспорт — პასი გააფუჭე!
Смородина — სამშობლოს სადღეგრძელო.
Искушение — ის კუ შენია.
Сонатина — სონა და თინა
Колхозник — "გაზ–69"
Снижение — ჟენიას სიზმრები
Агурчик — პატარა აგური
Стоимость — შესდექ, ხიდია!
Босоножка — ბასას ფეხი
Киловатт — კილო ბამბა
Вторжение — ორცოლიანობა
Конюшня — უშნო ცხენები
Бабочка — ბაბო აღარ არის
Насколько — ჩვენ რამდენი ვართ?
Усилители — ულვაშები მიფრინავდნენ



აქითური - იქითური

* * *

– რა მ[illegible]ლია ხეიბრობა! - უთანაგრძნო ქალმა და ქუდში ხურდა ფული ჩ[illegible]ყარა.
– ხეიბრ[illegible]ას რა უჭირს, - უპასუხა ცალფეხამ, - საშინელება ის იყო, როცა ბ[illegible] ვიყავი: რაღას არ ყრიდნენ ქუდში და ხმას ვერ ვიღებდი!

* * *

ლოგინშ[illegible]რველი, ხანმოკლე ნაცნობობის შემდეგ
ქალი კ[illegible]კითხება:
– შენ [illegible]ად ექიმი-ანესთეზიოლოგი ხარ!
– კი. რ[illegible]რ მიხვდი?!
– ვერაფ[illegible] ვერ ვიგრძენი.

* * *

ფსიქიატრ[illegible]საუბრება ქალი:
– ჩემი ქმ[illegible] მაგიჟებს: ფაიფურის საშაქრეს ჭამს, ხუფს ტოვებს.
– საოცარ[illegible] - პასუხობს ექიმი, - ხუფი გაცილებით უფრო გემრიელია.

* * *

ქალაქის ს[illegible]ფლაოს პრივატიზაციის შემდეგ ალაყაფის თავზე ვეება სარეკლამო [illegible]არწერა გაჩნდა: "დარჩით ჩვენთან!"

სასკოლო რვეულიდან

- „სამშობლ[illegible] სიყვარული იგივეა, რაც დედიშენისა"...
- „ბრძოლის [illegible]ელზე დახოცილების კვნესა-გოდება ისმოდა"...
- „ადამიანის [illegible]რეგნობა და შიგნეულობა ჰარმონიული უნდა იყოს"...
- „იატაკზე [illegible] გვამი, რომლის თავთან გვამის მეუღლე იჯდა"
- „პუშკინი მ[illegible]ს კარზე ცქრიალებდა და ცოლსაც იქ აცქრიალებდა"
- „არსენა ო[illegible]აშვილის მშობლები უბრალო კოლმეურნეები იყვნენ"
- „შექსპირის [illegible]აგედიები უკვდავია: ისევე როგორც 400 წლის წინ, რომეოს ახლა[illegible]ყვარს ჯულიეტა, ხოლო ოტელო ისევ ახრჩობს დეზდემონას"...
- „ზიჟს სიღრმისა ეშინოდა და ამიტომ სანაპიროზე დაცურავდა"

საქართველოს ისტორია გასაგებ ენაზე

ერეკლე მაგარი მასტი იყო. გორგასალისხელა ბაკლანი არ იყო, მაგრამ არც არაფერში იჭრებოდა. ასპინძის ბაზარში იმ დამპალმა ტოტლებენმა ჩაუშვა და მოტყდა. ეგ რა პონტია, ძმაო, კაცურად გაურჩია ირამ, ნუ მოტყდები, სიტყვა ითქვა, ერთად უნდა გავვედო თათრებისთვისო, არ მინდა რიჟა ბაზარი. მე ჩემი პონტს ვაწვებიო, იმ ვალეტმა და დაითესა. ჯერ რუსის და მერე გარუსებული გერმანელის... ვახ, ჩემიო, თქვა ირაკლიმ და საკაიფო ხმალი წაამრო! ყიზილბაშებს დაუნმრია - საწულები დაქლიავდნენ და მაგრა დაჩმორიკდნენ. ტოტლებენს რამსები აეჭრა და ვეღარ ებლატავებოდა ირაკლის. ქართველებს მაგრა გაუსწორდათ. მერე ისიც გაიასნდა, რო იმ ქაჯს ირას ტახტიდან მოტეხვა უნდოდა. აზრობ - ამეების მერე კიდო რუსებს შეეკრა, სიმონ!
ვახ, ჩემი!...

იპოვა ლონდრემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები მ.ახაშიძისა

...მოც დოლარად დავწერ დისერტაციას, იქნებ ამით წავადგე ჩემს საყვარელ "ნაციას".

სადავეს თუ ხელი მივცემთ გარეწრეს - შეიძლება უფრო მაგრა დაგვენძრეს

მლვრიე წყალი აწყობს რადგან გარე წრეს
მგლის ცხვრისაგან თუ ვისწავლით გარჩევას
დაკარგულად აღარ ჩავთვლით ამდენ წელს
როცა სწორად გავაკეთებთ არჩევანს.

ძაჯებისგან რამეთი რომ გავირჩეთ
ჩემი აზრით ყველას ერთად გვერჩია
ვინმე ახალ ჭკვიანს ნუღარ ავირჩევთ
ჯობდა ისევ ძველი ამოგვერჩია.

რაც ეხება ჩვენს გასაჭირს საერთოს
საჭირო ცოტა ჭკუის ხმარება
ყველამ უნდა თავის საქმე აკეთოს
ალბათ ღმერთიც მაშინ დაგვეხმარება.

America

შორს მგზავრობა ამოდიო კარტში
ჭმა ყველაფერი ფიფაფერნილ შტატებში
თან პროგრამის დარარნები წყვრეი
ოფლენ ულნი ეტეტების ეროვნ
ბავერ ოიეტ ლეეშეს ლეეშეს ალოვაში
ფ ეკოიოლეს ლეეშეს ალოვაში
ფეფლეს მეჩინი ანფერკელ ეროვნ
ბავეცანი ბეერ ანფერკელ ფ ოიეტ
ეს ფრანცისკო ნიუიორკი და ოაკეი
როგორ ვინეი ტარს მეკრანდ ოკერეი
ვინე მისმენ ტარს მეკრანდ ოკერეი
ქანოელ ლეეშეს შორს ბეკეფელ
ბანდეკი თანგანეეს ეროვნ
ფ ეკრანეში სანლეი ბანეკეფ

ქალბატონინგანი კითხვა ყავაზე

თუ ყავაში ამოგვიდა:

სათვალე	- ერიდე კობრას
ძროხა	- საქმეს ხელს მოკიდებ და კარგად მოგწყვლის საგადასახადო
თხილი	- იპოვე ცხრა ძმა
1	- შემოხაზე
ცერა თითი*	- კარგია (* თუ ორ თითს შუა ჩანს - დასაფიქრებელია)
მოკაკული თითი	- სასწრაფოდ მიიღე „ვიაგრა“
შუა თითი	- უჩვენეთ გვერდით მეზობლს
მაკარტელი	- შორტებს გაჩუქებენ
ირემი	- ოოოოოო

კოტესტროფული ამგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკა ქვეყანაა მოვლილი
თუმც ბევრია ღატაკი და ლტოლვილი
სადაც წახვალ წესრიგია დაცული
ხალხი დადის ირგვლივ კარგად ჩაცმული.

კოტე დლოთ: + 2

აუყვები სანფრანცისკოს აღმართებს
ყველაფერი კრიალებს და ანათებს
რეკლამებმაც გულიანად გამართეს
ვიტრინებმა სრული შოკი დამმართეს.

კოტე ღამით: - 2

რამდენს ნახავ ახალ-ახალ მანქანებს
სწორედ ისეთს ჭკუიდან რომ გაქანებს
ატმოსფერო საამური ტრიალებს
სადმე შეხვალ ყველაფერი კრიალებს

ყველა იცავს წესებსა და კანონებს
უყურეს და საქართველოს გაგონებს.

საქართველო მარტო დარჩა,
აღარ უნდა ყოფნა მხლებლად,
კავკასიის თეთრი ყანჩა
თავს გრძნობს დამოუკიდებლად.
რუსთაველზე სეირნობენ
ათასგვარი ფეისები
ტოკიოს და სინგაპურის
გახსნილია რეისები.
გაფრინდი და გამოფრინდი
ჩემო თეთრო ღვინიაო,
დასავლეთის გრილო სიო
მინდა შემოგინიაო
რომ გაანდო მთელ სამყაროს
შენი ბედის სისა ტურა
და ერთბაშად დაამყარო
სიყვარულის დიქტატურა.

ეროტიკული ეგზერსისები

რომ მაცვია დახეული
იმიტომ მაქვს დარხეული

* * *

როცა დადიხარ ქალებში
ცოლს ვერ უყურებ თვალებში.

* * *

ძლიერისგან სუსტის ჩაგვრა
დასანახად ტეხავს მაგრა.

* * *

ნავთობის მილის ონერი
გახდება მილიონერი.

* * *

მეკვირს როდესაც ემას ყოფილს
ვხედავ ცხოვრებით კმაყოფილს.



ნიანგელები გვიამბობენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფსიქიატრიულში

ბიძაჩემს, ცხადია, დოლიძეს, ერთი გარე ბიძაშვილის შვილი, რა თქმა უნდა, ისიც დოლიძე, ფსიქიატრიულში მოუთავსეს. როგორც გაირკვა, იმ უბედურს ბიძაჩემის მეტი პატრონი არ ყავდა. სხვა რა ჩარა იყო, ჩავიდა ბიძაჩემი თბილისქალაქს და მიაკითხა ფსიქიატრიულს. თქვენთან, ჩემო ბატონო, ჩემი ნათესავი დოლიძე მკურნალობს და თუ უკაცრავად არ ვიქნები, იქნებ შემახვედროთო. რომელ პალატაში წევსო და არ ვიციო, სახელი რა ჰქვიაო დ არ მახსოვსო, ბაბუამისს სარდიონი ერქვაო. თუკი ასეაო, უთხრეს, აქ მეორე სართულზე, სულ დოლიძეები მკურნალობენ და საპატრონოდ რომელიც გნებავთ ამოირჩიეთო!

ბანკეტზე

მამუკა დოლიძის მონაყოლ

ილია რურუას ვაცილებდით ტელევიზიიდან. ბანკეტზე კაკო ძიძიგურისა და მისი მეუღლის მარჯვენ და მარცხნივ ორი მთაკაცი, გიორგი საგინაშვილი და კოწია ჭანტურიშვილი აღმოჩნდა. თვალის დახამხამება ძიძიგურის ახლო-მახლო პურის ნაჭერიც კი აღარ ჭაჭანებდა. განცვიფრებულმა კაკომ სათვალე გაისწორ და მეუღლეს ყველას გასაგონად უთხრა:
— ქუცუნა, ამაღამ თუ დაგეკარგო, ხვალ ამგენის განავალში მეძებე!

ლერი ჩანტლაძის ნაამბო

პატივისცემა

რ. კ.-ვამ, თქვენ კარგად იცნობთ, გვიან ღამით სამსახურიდან სახლში მიმავალმა, ვერის ბაღში შეუხვია და სულის მოსათქმელად სკამლოგინზე ჩამოჯდა. ცალ ფეხზე პროთეზი მოიხსნა და გვერდზე დაიდო სიგრძეზე. ცოტა ხანში შეზარხოშებული ბიჭები გამოჩნდნენ და საქმის გარჩევა დაიწყეს. ცხარე დედისგინებას მუშტი-კრივიც მოჰყვა. ერთმა ნაბეგვმა სტაცა ხელი პროთეზს და თავზე დაალეწა მეორეს. დარჩა კაცი უფეხოდ. ზის და ფიქრობს, რანაირად წავიდეს სახლში. ამ დროს საიდანღაც ამირან დ-ძე გამოჩნდა. როცა მოისმინა, რაც მოხდა, ერთი გულიანად შეუკურთხა: მაგათი უნამუსო დედაო... ცოტა ხანი მოითმინე, რაღაცას გიშველიო, წავიდა და ნახევარი საათი არ გასულა, მობრუნდა პროთეზით ხელში. აჰა, მოიზომეო!... მოიზომა, რაც ჰქონდა, იმაზე უკეთ მოაჯდა. საიდანაო?! - ჰკითხა განცვიფრებულმა.
— ვიღაც ჩათლახს წავაძვრე ფეხიდან! - აჭიხვინდა ამი რანი.

რეზო ჭეიშვილის ნაამბო

the Best of 1999 - 33 = 1966



– ხ[illegible]ხი არა ხართ? ან დამაძინეთ, ან დ[illegible]ბატიჟეთ!

- ვაიმე, დედა, მუცელი, ვკვდები!
- ხომ ხართ მოწმე? ჯერ ხელი არ მიხლია!



- რამდენჯერ გითხარი, თავით არ გადმოხტე-მეთქი?!

– ეგ სახვევი არ მოიცილო, ახლა წადი და ხვალ გამოიარე!
– სად წავიდე, ბატონო, მეორე თვალი შუშისა მაქვს!...

ყვარტეტი

– წელს შენი ქმარი გაგრაში ხომ არ ისვენებდა?

- ნამუსი არა გაქვთ, რომელ ერთს გიყურო?!

- მე როიალის ამწყობი ვარ!
- ჩვენ არ გამოგვიძახებიხართ!
- თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს!

ექვსკუზიური ინტერვიუ ჯანსუღ ჩარკვიანთან

"ნიანგი" – "ექვსკუზიური" თქვენი სიტყვაა, სანამ სიტყვას გაშიფრავდეთ, ჯერ იქიდან დავიწყოთ, ბატონო ჯანსუღ, თქვენზე ამბობენ, დიდი იუმორის პატრონიაო.

ჯ.ჩ. – კი, იუმორი მაქვს, ზოგს ოქრო აქვს, ზოგს ფული, მე იუმორი მაქვს,

"ნიანგი" – ვის რაში გაუცვლიდით?

ჯ.ჩ. – ვინმემ გამოსცეს ჩემი პოეტური კრებული და გავუცვლი, მივცემ იუმორს, მერე, ვიხუმრე-მეთქი და ისევ გამოვართმევ.

"ნიანგი" – რომ არ დაგიბრუნოს?

ჯ.ჩ. – ჩავრეე ძალოვან სტრუქტურებს.

"ნიანგი" – "ექვსკუზიური" ინტერვიუ რას ნიშნავს?

ჯ.ჩ. – საქართველოს დღეს ექვსი კუზი აქვს, ექვსივე აღორძინებაშია.

"ნიანგი" – სიტყვა "აღორძინების" თქვენეული განმარტება გქონიათ?

ჯ.ჩ. – კი მაქვს, სიტყვისა და არა მარტო პოლიტიკური დატვირთვისა.

დაწერე - ღორი, არძინბა, ინება და არ ინება, ამ სიტყვებისგან შესდგება სიტყვაი "აღორძინება".

"ნიანგი" – როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი?

ჯ.ჩ. – ერთადერთი – შევარდნაძე, დანარჩენები გავარდნაძეები არიან.

"ნიანგი" – როგორ მოგწონთ დღევანდელი დემოკრატია?

ჯ.ჩ. – დღევანდელ დემოკრატიას ედუარდ იმდროსოვიჩი ვერ უშველის, თუ არ მიეშველა ედუარდ ამდროსოვიჩი.

"ნიანგი" – თქვენ ამ არჩევნებში კანდიდატი ხართ?

ჯ.ჩ. – არა, კანდიდატი გელა ჩარკვიანია, მამამისს კანდიდა ერქვა, მე ავდიდატი ვარ, ჩემს მამას ავდიდი ერქვა.

"ნიანგი" – ვინც უცხოეთში სწავლობს, ყველა ტალანტია?

ჯ.ჩ. – ერთხელ ნოდარ დუმბაძემ ერთ ახალგაზრდაზე მითხრა – იდიოტიაო. რას ამბობ, ნოდარ, რის იდიოტი, იცი როგორი ინგლისური იცის-მეთქი? ნოდარმა გვერდულად შემომხედა და მითხრა – "თუ ძმა ხარ, ინგლისელი იდიოტი არ გინახია?"

"ნიანგი" – ერთხელ თქვენ ვიღაც გ... ზე სთქვი სირიაო, რას ნიშნავს "სირი?"

ჯ.ჩ. – "სირი" ძველქართულში ჩიტია, ესე იგი, "გ" კაი ჩიტია, ანუ კაი სირია.

"ნიანგი" – კაკუბავას თუ იცნობთ?

ჯ.ჩ. – ვიცნობ, მაგრამ იგი კაკუბავა კი არა კაკებავაა, ბოლოს ასე დამტკიცდა.

"ნიანგი" – შარაძე მართლა ლუდის ქარხანაში გადავიდა?

ჯ.ჩ. – ჭორია, ამასწინად ისიც კი სთქვეს, რომ შარაძე "მაკდონალდსის" მთავარ ადიმინისტრატორად დანიშნესო, ენას ძვალი არა აქვს....

"ნიანგი" – ვახტანგ რჩეულიშვილს რატომ ეძახიან "ტუის"?

ჯ.ჩ. – იმიტომ რომ ტყუის, ტყუის, რომ ასლანს ემხრობა.

"ნიანგი" – თქვენ მართლა "ლეიბორისტებთან" გინდოდათ წასვლა?

ჯ.ჩ. – მინდოდა. "ლეიბორისტი" ლეიბზე გორიალი მეგონა, ვიფიქრე, წავალ და ვიბორიალ- ვიგორიალებ ლეიბზე-მეთქი, გავიგე თუ არა, რომ "შრომის პარტიაა", აღარ შევლახე ჩემი მოქალაქეობრივი უფლებები.

"ნიანგი" – მართლა შეჰქმენით ახალი პარტია „ვეჩეპე"?

ჯ.ჩ. – დიახ, შევქმენი ახალი პარტია ვ.ჩ.პ.

"ნიანგი" – კი, მაგრამ რას ნიშნავს? გაგვიშიფრეთ.

ჯ.ჩ – ვ.ჩ.პ.-ე ნიშნავს - „ვაი ჩვენს პატრონს".

"ნიანგი" – ახალი ანეკდოტები ხომ არ იცით?

ჯ.ჩ. – ვიცი: გურულს ჰკითხეს, ის თქვენებური პარლამენტარი ახლა სად იყრის? და გურულმა - უპასუხა, ძმა მეუხერხულება მაგის თქმა, ისეთ ადგილას იყრისო.

გურულს ჰკითხეს, ის თქვენებური ვინცხა როა პარლამენტში, როგორი კაციაო?

- მაგას ბიძია ერთი პლიუსი აქვს და იგიც სათვალეო - უპასუხა გურულმა.

ბათუმელ ახალგაზრდას ეკითხებიან - ასლანს იუმორი თუ აქვსო, და რავა არა აქვს, ჯერ, პრეზიდენტობა უნდაო...

"ნიანგი" – იქნებ ის ლექსი გაიხსენოთ, რომელიღაც პარლამენტარს რომ მიუძღვნია. აი „კბენა" რომ ჰქვია

ჯ.ჩ. – კი, ბატონო:

„არცა ქრისტიანს არ ეკადრება,
არ ეკადრება არცა ურიას,
შენ რომ მკბენ, ბიჭო, იმ ადგილებში
კბენა სასტიკად აკრძალულია".

"ნიანგი" – „საპარლამენტო ლექსებიდან" ვინაა ის „ჩლენკორი"?

ჯ.ჩ. – ვინაა ვერ გეტყვით, მიჩივლებს, ხოლო ლექსს კი მოგახსენებთ:

მინდა ვკითხო
იმ შენს ნაგრამს,
გყავს ნაგრამი მე მგონი,
„ჩლენი" რომ ხარ
ვიცი, მაგრამ
რა შვაშია „ჩლენკორი".

"ნიანგი" – ცალკე წიგნად თუ გამოსცემთ ამ "საპარლამენტო ლექსებს"?

ჯ.ჩ. – რა თქმა უნდა, გამოვცემ.

"ნიანგი" – ჩვენს განახლებულ "ნიანგზე" რას იტყვით, თქვენ ხომ „ნიანგის" კოლეგიის წევრი ხართ?

ჯ.ჩ. – გეტყვით:

ბოროტი ბოროტ კაცთან შეკროდა
ღიაა კარი ციხე-სიმაგრის,
ამდენ გველებთან, მორიელებთან,
ნეტა რას იზამს ერთი "ნიანგი"?

"ნიანგი" – იზამს, იზამს.

ჯ.ჩ. – ღმერთმა გისმინოს.

"ნიანგი" – ერთი კაფია პოლიტიკურ თემაზე გვითხარით.

ჯ.ჩ. – გეტყვით, თანაც სულ ახალს, გუშინდელს –

პარადოქსი

დალახვრეს მთები, ქედები,
ჩაკეტეს გზები კეტებით,
მაძლებს ებრძვიან დედლები,
პრეზიდენტს რეზიდენტები.

"ნიანგი" – და ბოლოს, ერთსიტყვიანი კალამბური გქონიათ და თუ გაგვიმხელთ კარგი იქნება.

ჯ.ჩ. – კი მაქვს, მაგრამ არ გეტყვით.

"ნიანგი" – მადლობას მოგახსენებთ.

ჯ.ჩ. – "კარგათ", როგორც ტელეეკრანიდან გვეუბნებიან.

„ნიანგი“– პირველი ქართული ჟურნალი თანამგზ[illegible]



[illegible]ურია – პირდაპირი ჩართვა!

სადაც ყვაოდა ჩაის კულტურა –
იქ დაშლიგინობს მგელი და ტურა!

სოფელო, ჩემო სოფელო!...

ტიპიური გურული
(ოღონდ უყაბალახოდ)

– მგელ[illegible] და ტურას ვინ ჩივა, ძამა, ეგება ვეფხვიც ქე გამოჩნდ[illegible] აწი და საშველი დაგვადგეს, მარტო სანადირო ლიცენზ[illegible]ით ვირჩენთ თავს გურულები, აბა რაი!
მართალ[illegible] ჩაის კულტურამ ჩეისვარა, მარა მარტო ჩაის სმაში ხომ არა[illegible] კულტურა, თქვე კაი დედმამიშვილებო?
ვითამ გ[illegible]იაში არ მუშაობდა ცეკას მდივნების კონვეიერი?
ან არა-[illegible] პრეზიდენტების სამჭედლო? პირველი (ჟორდანია) და ამჟამ[illegible]დელი აქანა არ არიენ გამოჭედილ–გამოკვერილები?
ისე მე ვ[illegible]ოცხლე, რავარც ასე იყოს მაი ამბავი!
არც სხვა[illegible] დარგში მოგვწყვეტია წელი გურულებს: სიდრურები იყვნენ თ[illegible]აცით ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე? ასეა, აბა რაი!
ახლაც [illegible]სთანა გზას ვადგანვართ, რომე იმგენსაც ძალიან გუუხარ[illegible]ოდნენ – კულტურის და განათლების საქმეს ვაწვებით [illegible]მეტნავად.
დღესდღ[illegible]ით გურიაში იმდენი უნივერსიტეტი და ინსტიტუტია, შე[illegible]თებულ შტატებში რომ არ დიესიზმრებათ. მარტო ოზურგეთის სასტუმროში ათზე მეტია გახსნილი.
გორა–ბერეჟოულში, ჩემო ბატონო, სამხატვრო აკადემია გვაქვენ, საკონსერვო ზავოდის შენობაში – კონსერვატორიული კოლეჯი და რა ვიცი, კიდომ რაი...
პაწა კადრების ნაკლებობას განვიცდით, მარა ვინც გვყავს, წყალი არ გოუვა: დაკვრა-სიმღერას, მაგალითიზა, სახელოვანი მექორწილე დამკვრელ-მომღერლები ასწავლიენ, ხატვას - მალიარები და მებაღეები...
ახლა მეცნიერებათა აკადემიის გახსნა გვინდებლარიენ, მარა ცარიელი შენობა ვერ მივაკვლიეთ, ყველაყაი დაკავებულია.
ერი სიტყვით, მოვნახავთ რაცხას...
თუ წახთა საქმე, პრეზიდენტს ვთხოვთ, ნაარჩევნებზე, ერთ აკადემიას რავა დაგვამადლის ჩვენი ბიჭი – რაჭა, ტყვილა გამოვკვერეთ აქოურ სამჭედლოში?

გკოცნით მუდამ თქვენი
ოზურგეთელი ძამა

მზის დაბნელება

ვიცე-პრემიერმა გუბერნატორები დაიბარა და გამოუცხადა: – ხვალ, სამ საათზე, მზის დაბნელება უნდა მოხდეს. ეგეთი რამე ყოველდღე კი არა ხდება. გამგებლებს უთხარით, რომ ხალხი კლუბების წინ შეკრიბონ, რომ ყველამ ერთად უყუროს. თუ წვიმა წამოვა, კლუბში შეიყარონ თავი.
გუბერნატორმა რაიონების გამგებლები დაიბარა და გამოუცხადა:
– ხვალ, სამი საათისთვინ, ჩვენი მთავრობა მზის დაბნელებას აწყობს. თუ წვიმა წამოვა, კლუბში შაიყრით თავსა და წვიმას იქიდან დააკვირდებით! გასაგებია?
რაიონის გამგებლებმა სოფლის გამგებლები დაიბარა და გამოუცხადა:
– გუბერნატორის განკარგულებით ხვალ, სამ საათზე, კლუბებში ჩატარდება მზის დაბნელება. თუ გაწვიმდება, ყველანი ეზოში გავალთ. გასაგებია?
სოფლის გამგებელმა მოადგილეებს გამოუცხადა:
– ხვალ, სამ საათზე, რაიონის გამგებელი კლუბში მზის დაბნელებას აწყობს. ყოველთვინ ეგრე იქნება, როცა გაწვიმდება. გასაგებია?
გამგებლის მოადგილე საკუთარი ოჯახის წევრებს ეუბნება:
– ხვალ, სამ საათზე, ჩვენს გამგებელს მზე უბნელდება. კლუბში თუ გაწვიმდება, ხალხი კლუბის წინ შეიკრიბება!

ლ' ერიო

არგე ჩამჩა ძვირფასი ქვებით და ოქროს ტარით მგონი "დელისის" მეტროში დამრჩა დასაჩუქრდება მპოვნელი ლარით.

ფოტომონადირე

პაფუჭებული ტელეფონი

- საქსაწყალპროექტი
- დაღორძინება
- მინისტრუაცია
- თხილარი კლინტონი
- შინაგან საქმეთა საქართველო
- ქართული მინაქარი
- კუჭინ მაჭინის კუდი
- უქმარისობა
- ტრაგიკულიტი
- შპიონერი
- ამორძაღლები
- ვიტორიო გამზმანი
- პირატობის მოწმობა

Niangi's Microsoft Explorer

„ნიანგის" - პატარა და რბილი აღმომჩენი

დაღლილი ქმარი ბრუნდება სახლში. იხდის პალტოს, ფეხსაცმელს დ
ტუმბოზე ნახავს ცოლის წერილს:
- ძვირფასო! მაგიდაზე სუპია, გაწმინდე!

- ძვირფასო, მიმართავს ცოლი ქმარს:
- ექიმმა მოგზაურობა მირჩია, სად წამიყვან?
- სხვა ექიმთან. უპასუხა ქმარმა.

კითხვა ლექტორს:
- რა არის სიყვარულის დევალვაცია?
- მე ვფიქრობ რომ ეს ხდება მაშინ, როცა ქმრის ოქროს გულს ცვლიან
მეზობლის რკინის ასოზე.

ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა. შევიდა სახლში და ცოლს დაუყვირა:
- სასწრაფოდ ლოგინში!
ცოლი ჯერ გაოცდა, მაგრამ თან გაუხარდა და ჩაწვა ლოგინში.
ქმარიც მიუწვა, თავზე საბანი გადაიფარა და ცოლს ეუბნება:
- ნახე რა საათი ვიყიდე, სიბნელეშიც ანათებს!

წარწერა კედელზე - „ონანიზმი აჩერებს ზრდას".
გვერდით ორი მეტრის სიმაღლეზე წერია - „ტყუილია!"

„ვიაგრა ლაითი" - მიიღებ და უბრალოდ კოცნა გინდება

- კოკისპირულად წვიმს, ჩემი ცოლი კი უქოლგოდ წავიდა!
- ნუ გეშინია. თავს რომელიმე მაღაზიას
შეაფარებს.
- სწორედ მაგის მეშინია.

- ექიმო ბუასილი მაქვს.
- რა ადგილას?

ინტერნეტში აღმოაჩინა „ნიანგმა"

მენტალიტეტი

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ტრაქტატი

- (გიორგიევსკის) დღემდე განუმარტავი დარჩა

კლურალიზმი

- საკუთარი აზრისთვის სახეში როდესაც არ გაფურთხებენ

სექსუალური აქტი

- მხარეთა კონსენსუსის ამსახველი რეალური ქმედება

განმარტებითი ლექსიკონი

საუკეთესო პლაკატი

საუკეთესო რეკლამა

ვაცხადებთ კონკურსს საუკეთესო პლაკატსა და საუკეთესო რეკლამაზე.

კონკურსში დაიშვებიან მხოლოდ
კარგი მთქმელები და კარგი გამგონეები, ხატვის ნიჭიც სასურველია

კონკურსი



ნიანგი

ნიანგ ჟილ, ნიანგ ჟივ, ნიანგ ბუდეტ ჟიტ ! ! !

მთავარი რედაქტორი
ბეჭან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

მურთაზ აბაშიძე
საბა კიკნაძე
ჯემალ ლოლუა (მხატვარ / რედაქტორი)
ნოდარ მალაზონია
თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)
გია სიხარულიძე
ლერი ჩანტლაძე (ლიტ.რედაქტორი)
ჯანსულ ჩარკვიანი
კოტე ყუბანეიშვილი
თამაზ წივწივაძე
რეზო ჭეიშვილი

*კოტესტროფეგის აღნიშვნა:
ე.ი. ავტორი კოტე ყუბანეიშვილია

დიზაინერები:
დავით თეთრაძე &
კაკადუ იგივე „დათო მაჭავარიანი“

მენეჯმენტი და მარკეტინგი:
კომპანია **Promo Ltd.**

კომერციული დირექტორი:
საბა კიკნაძე
ქეთევან ბაბუნაშვილი

„ნიანგის“ უფლებებს ხუმროებაზე
იცავს იურიდიული ფირმა:
„კორძაძე და სვანიძე ადვოკატები“

გამოქვეყნებულ მასალებში საავტორო
სტილი დაცულია.

**თბილისი, 380008,
რუსთაველის გამზირი 42.
ტელ: 931942, 934932, 995554**

ვისაც ჰგონია, რომ “ნიანგში”
რეკლამა არ თავსდება -
მწარედ ცდება!

მიმართეთ: მაკა ჩხაიძეს და
ნანა ჯაჯანაშვილს

- 940330, 934932

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ.
რეგისტრირებულია: ქ.თბილისის
მთაწმინდის რაიონის
სასამართლოს მიერ;
რეგისტრაციის № 4/4 - 1263

ფასი შეთანხმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა
ჯფ 259/5

სატირალი რომ არ იყოს, ნაღდად გამეცინება:
დავიჯერო, ასე უნდათ ქვეყნის აღორძინება?

ინდექსი: 76137

,,ნიანგის“, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება ხუმრობაზე - დაცულია კანონდებილობით (იხ. $ 217 მუხლი 217, 1917 წ)